პარლამენტის როლი და საქმიანობა რუსული დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის საკითხებზე

კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის

GRASS REFORMANDA

შესავალი

წინამდებარე კვლევა აანალიზებს პარლამენტის საქმიანობას დეზინფორმაციასთან და ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის შესახებ.

კვლევა მიმოიხილავს პარლამენტის თემატური მოკვლევის ჯგუფის საქმიანობას, აფასებს მიღებული ანგარიშის შესრულებისთვის გადადგმულ ნაბიჯებს და თემატური მოკვლევის ანგარიშის მიღმა, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების (საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი) დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ საქმიანობას. ამისათვის, კვლევა, ერთი მხრივ, მიმოიხილავს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების საჯაროდ ხელმისაწვდომ სტრატეგიის დოკუმენტებს, სამოქმედო გეგმებსა და შესრულების ანგარიშებს, მეორე მხრივ, კი ეყრდნობა კომიტეტებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას.

პრორუსული დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაში პარლამენტი, როგორც პოლიტიკის განსაზღვრისა და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზედამხედველობის მთავარი ორგანო, განსაკუთრებულ როლს უნდა ასრულებდეს.

დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის, როგორც ქვეყნის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევის საპარლამენტო დონეზე აღიარება ოფიციალურ დოკუმენტებში პირველად 2018 წელს მოხდა, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის 2018-2020 წლების სტრატეგიისა[1] და სამოქმედო გეგმის[2] ფარგლებში. სტრატეგიის თანახმად, ანტიდასავლური პროპაგანდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფრთხედ იყო მოხსენიებული და მასთან ბრძოლის კონტექსტში, კომიტეტი საკანონმდებლო ბაზაზე მუშაობის კუთხით საკუთარ როლზე საუბრობდა.

მოგვიანებით, 2019 წელს დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე საქართველოს პარლამენტში შეიქმნა თემატური მოკვლევის ჯგუფი, რომლის მომზადებული ანგარიში „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერება ქვეყანაში ანტიდასავლური დეზინფორმაციის და პროპაგანდის მიმართ“ დღემდე პარლამენტის მიერ შემუშავებულ ერთადერთ დოკუმენტად რჩება, რომელიც მტრული დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის საკითხს ეხება და პარლამენტის ხედვასა და საქმიანობას განსაზღვრავს.

1. საქართველოს პარლამენტი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სტრატეგია 2018-2020. ხელმისაწვდომია - https://bit.ly/3UHE7Fr
2. სამოქმედო გეგმით კომიტეტმა განსაზღვრა შემდეგი: 1) დეზინფორმაციასა და მედიის საკითხებზე სამუშაო ჯგუფის შექმნა და მისი დღის წესრიგის განსაზღვრა და 2) შეხვედრები/დისკუსიები სტუდენტებთან საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების, მიზნებისა და გამოწვევების, ასევე დეზინფორმაციის საფრთხეების შესახებ; „ევროპის დღეებისა“ და „ნატოს კვირეულის“ ფარგლებში ორგანიზებულ ღონისძიებებში აქტიური ჩართულობა.

მთავარი მიგნებები

- → მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომიტეტი მართავდა მოლაპარაკებებს, რათა დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე პარლამენტის თემატური მოკვლევის ჯგუფის რეკომენდაციები შესრულებულიყო, საბოლოოდ, კომიტეტს აღებული ვალდებულების შესასრულებლად ნაბიჯები არ გადაუდგამს.
- → თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ შემუშავებული ანგარიშის შესრულებაზე პასუხისმგებელი კომიტეტი სამჯერ შეიცვალა და მე-10 მოწვევის პარლამენტში მასზე ზედამხედველობის ფუნქცია თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს გადაეცა. თუმცა, ამჟამად, კომიტეტის სამოქმედო გეგმებში და მათ მიერ მოწოდებულ პასუხებში არ ჩანს, რომ ანგარიში კომიტეტის სამუშაო დოკუმენტს წარმოადგენს.
- → თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ შემუშავებულ ანგარიშის მიღმაც, ჩანს, რომ საქართველოს პარლამენტისა და შესაბამისი კომიტეტების ანტიდასავლური პროპაგანდისა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ გაწეული საქმიანობა უმნიშვნელოა და ვერ პასუხობს ქვეყნის წინაშე გაზრდილ საფრთხეებს.
- → 2023 წლის მარტში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა, რომელიც პასუხისმგებელია პარლამენტში დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ მუშაობაზე, მხარი დაუჭირა ე.წ. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონპროექტს.
- → 2023 წლის მაისში კომიტეტმა სრულად უგულებელყო Meta-ს ანგარიში, რომელიც მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტს სოციალურ ქსელში არაავთენტურ და კოორდინირებულ ქსელთან კავშირში ავლენს და არ გამოიყენა მის ხელთ არსებული ზედამხედველობის მექანიზმები აღნიშნული სქემის გამოსაძიებლად.

თემატური მოკვლევის ჯგუფი დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე

2019 წლის 11 თებერვალს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლის საფუძველზე, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე თემატური მოკვლევა დაიწყო და შესაბამისი სამუშაო ჯგუფი შექმნა.

თემატური მოკვლევის ჯგუფის მიზნად დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხებზე ქვეყანაში არსებული ძირითადი გამოწვევების და პრობლემების გამოკვლევა და გაანალიზება განისაზღვრა[3]. ჯგუფს ასევე დაევალა არსებული სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი და მისი გაუმჯობესების კუთხით რეკომენდაციების შემუშავება. თემატური მოკვლევის ჯგუფში როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ისე უმცირესობის წევრები შედიოდნენ. სამუშაო პროცესი „ვესტმინსტერის ფონდი დემოკრატიისთვის“ (WFD) მხარდაჭერით მიმდინარეობდა,

3. საქართველოს პარლამენტი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი. დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხების შესახებ თემატური მოკვლევის ჯგუფი. ხელმისაწვდომია - https://parliament.leavingstone.club/storage/files/shares/tematuri-mokvleva/sagareo/dezinformacia/shesaxeb.pdf

ანგარიშის მომზადების პროცესში ასევე ჩართული იყო USAID-ის „კარგი მმართველობის ინიციატივა“ (GGI).

2019 წლის თებერვალი-ნოემბრის პერიოდში, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე თემატური მოკვლევის ჯგუფმა ზეპირი და წერილობითი გამოკითხვები გამართა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან. გასაუბრებაში სახელმწიფო უწყებებიდან მონაწილეობდა:

- → საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
  - საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ;
- → საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
- → შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;
- → საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.
  - მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მონაწილეობა მიიღო გასაუბრებებში, საბოლოოდ სუს-ი არ დათანხმდა, რომ მათი წერილობითი ან აუდიო მასალები ასახულიყო საბოლოო ანგარიშში.

შეხვედრები ასევე გაიმართა საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან[4], უცხოელ ექსპერტებთან[5] და ბრიტანეთის პარლამენტის დეზინფორმაციის საკითხებზე ჩატარებული თემატური მოკვლევის ჯგუფის[6] წევრებთან.

საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების შემთხვევაში, თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა ტექნიკური დავალება და კითხვარი[7]. პროცესში ჩართვის სურვილი სამოქალაქო საზოგადოების 23-მა ორგანიზაციამ გამოხატა. ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებმაც დაადასტურეს თავიანთი მონაწილეობა, დაეგზავნათ კითხვარი, რომელზე საპასუხოდაც, დასაბუთებული მოსაზრება 17-მა ორგანიზაციამ წარადგინა. წერილობითი მოსაზრებების მიღების შემდეგ მოკვლევის ჯგუფმა რიგი ორგანიზაციები ზეპირი მოსმენისთვის მიიწვია[8].

აღსანიშნავია, რომ თემატური მოკვლევის ჯგუფს სამოქმედო გეგმის შესაბამისად მუშაობის პროცესი 2019 წლის მაისის ბოლომდე უნდა დაესრულებინა, თუმცა აღნიშნული ვადის დაცვა არ მოხდა[9].

---

4. საქართველოს პარლამენტი, თემატური მოკვლევის ჯგუფის შეხვედრა რუსეთის პოლიტიკის მკვლევართან, ბრაიან უიტმორთან, 2019. ხელმისაწვდომია - https://parliament.ge/media/news/dimitri-tskitishvili-mnishvnelovania-imgamotsdilebis-gaziareba-romelits-rusetis-mier-tsarmoebuli-propagandisa-da-dezinformatsiis-sakitkhebtan-dakavshirebitaris-akumulirebuli
5. საქართველოს პარლამენტი, თემატური მოკვლევის ჯგუფის შეხვედრა ირლანდიელ ექსპერტებთან, 2019. ხელმისაწვდომია - https://parliament.ge/media/news/the-working-meeting-of-the-thematic-inquiry-group-on-disinformation-and-propaganda-at-the-foreign-relations-committee-with-irish-experts
6. საქართველოს პარლამენტი, თემატური მოკვლევის ჯგუფის ვიზიტი ბრიტანეთში, 2019. ხელმისაწვდომია - https://parliament.ge/media/news/the-visit-of-the-thematic-inquiry-group-on-disinformation-and-propaganda-to-britain-accomplished
7. საქართველოს პარლამენტი, თემატურ მოკვლევაში მონაწილე ორგანიზაციებისთვის კითხვარი, 2019. ხელმისაწვდომია - https://parliament.leavingstone.club/storage/files/shares/tematuri-mokvleva/sagareo/dezinformacia/kitxvari.pdf
8. საქართველოს პარლამენტი, თემატურ მოკვლევაში მონაწილე ორგანიზაციების წერილობითი პასუხები, 2019. ხელმისაწვდომია - https://bit.ly/3DSutJo
9. საქართველოს პარლამენტი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი, დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხე-

2019 წლის 23 აპრილს, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თანახმად, კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხზე თემატური მოკვლევის ჯგუფის შექმნის თაობაზე. პარლამენტის ბიუროსთვის გაგზავნილ მიმართვაში, კომიტეტმა აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში უკვე ფუნქციონირებდა დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხზე თემატური მოკვლევის ჯგუფი და ბიუროს ამ ორი ჯგუფის გაერთიანებით მიმართა[10]. ბიურომ, 2019 წლის 17 ივნისს აღნიშნული მოთხოვნა დააკმაყოფილა და თემატური მოკვლევის ჯგუფს ფორმალურად ვადა ხელახლა აეთვალა. მაშინ როდესაც საგარეო კომიტეტში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული პროცესი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მხრიდან იმავე საკითხზე მოკვლევის პროცესის გახსნა, სავარაუდოდ, საგარეო კომიტეტში არსებული ჯგუფის ტექნიკურად გახანგრძლივებისთვის მოხდა. თუმცა, „ახალმა“ თემატური მოკვლევის ჯგუფმაც ვერ მოახერხა რეგლამენტით განსაზღვრულ ვადაში ანგარიშის დასრულება და მოგვიანებით ისევ მიმართა ბიუროს ვადის გახანგრძლივების თაობაზე[11].

საბოლოოდ, თემატური მოკვლევის ჯგუფმა 2019 წლის ბოლოსთვის მოამზადა ანგარიში - „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერება ქვეყანაში ანტიდასავლური დეზინფორმაციის და პროპაგანდის მიმართ“[12].

თემატური მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელმა ნინო გოგუაძემ (მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე 21.11.2016 – 25.11.2019 პერიოდში) ანგარიში საჯაროდ 2020 წლის 13 იანვარს გამართულ ბრიფინგზე წარადგინა, უფრო დეტალური პრეზენტაცია კი 3 თებერვალს შედგა[13][14].

სამოქალაქო საზოგადოება მიესალმა ანგარიშის მიღებას და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებს კონკრეტული სამოქმედო გეგმის შექმნისკენ მოუწოდა, რათა ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულება მომხდარიყო: „მნიშვნელოვანია „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობამ გააცნობიეროს, რომ პარლამენტის თემატური მოკვლევის ჯგუფის მუშაობისა და მისი საბოლოო ანგარიშის ღირებულება პარლამენტისა და მთავრობის მხრიდან რეკომენდაციების შესაბამისად გადადგმული კონკრეტული ნაბიჯებით განისაზღვრება“.[15]

ბის შესახებ თემატური მოკვლევის ჯგუფის სამოქმედო გეგმა. ხელმისაწვდომია - https://parliament.leavingstone.club/storage/files/shares/tematuri-mokvleva/sagareo/dezinformacia/samoqmedo-gegma.pdf

10. საქართველოს პარლამენტი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიმართვა. 2019. ხელმისაწვდომია - https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/221118
11. საქართველოს პარლამენტი, მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიმართვა ვადის გახანგრძლივების თაობაზე. ხელმისაწვდომია - https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/232700
12. საქართველოს პარლამენტი, ანგარიში „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერება ქვეყანაში ანტიდასავლური დეზინფორმაციის და პროპაგანდის მიმართ“, 2019. ხელმისაწვდომია - https://parliament.leavingstone.club/storage/files/shares/tematuri-mokvleva/sagareo/dezinformacia/angarishi-27.01-2020-geo.pdf
13. საქართველოს პარლამენტი, ნინო გოგუაძემ ბრიფინგზე „დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხების შესახებ“ თემატური მოკვლევის ჯგუფის ანგარიში წარადგინა, 2020. ხელმისაწვდომია - https://parliament.ge/media/news/nino-goguadze-introducing-the-report-of-the-thematic-inquiry-group-on-disinformation-and-propaganda-at-the-briefing
14. საქართველოს პარლამენტი, დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხებზე თემატური მოკვლევის ჯგუფმა ანგარიშის პრეზენტაცია გამართა, 2020. ხელმისაწვდომია - https://parliament.ge/media/news/the-presentation-of-the-report-by-the-thematic-inquiry-group-on-disinformation-and-propaganda
15. განცხადება საქართველოს პარლამენტის დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე თემატური მოკვლევის სამუშაო ჯგუფის მუშაობისა და საბოლოო ანგარიშის შესახებ - ხელმისაწვდომია: https://grass.org.ge/ka/statement/gancxadeba-saqartvelos-parlamentis-dezinphormaciisa-da-propagandis-sakitxebze-tematuri-mokvlevis-samushao-jguphis-mushaobisa-da-saboloo-angarishis-shesaxeb

თემატური მოკვლევის ჯგუფის საბოლოო ანგარიში - „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერება ქვეყანაში ანტიდასავლური დეზინფორმაციის და პროპაგანდის მიმართ“

თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ შემუშავებულ ანგარიშში ჩაიწერა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რომლებიც სახელმწიფო ინსტიტუტებს დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის საფრთხეებთან გასამკლავებლად კონკრეტულ გზებს სთავაზობდა[16]. აღნიშნული რეკომენდაციების ნაწილი დღემდე რელევანტურია.

ანგარიშში მოცემულ რეკომენდაციებს შორისაა:

- → პარლამენტში ჰიბრიდულ საფრთხეებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ზეპარტიული ფორუმის შექმნა და შესაბამისი განხილვების უზრუნველყოფა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების ჩართულობით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, მოკვლევის ჯგუფისა და საგამოძიებო კომისიების ფორმატების გამოყენებით;
- → პარლამენტის მხრიდან სოციალურ ქსელებთან (Facebook) თანამშრომლობის დაწყება და Facebook-ის რიგი რეგულაციების (მათ შორის, რეკლამის გამჭვირვალობა, მათი სპონსორების ვინაობის გასაჯაროება, სხვ.) საქართველოზე გავრცელების უზრუნველყოფა[17];
- → რუსეთთან აფილირებული კერძო, არასამთავრობო, მედია და პოლიტიკური სუბიექტების დაფინანსების გამჭვირვალობის ზრდა და ამ მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება;
- → აღმასრულებელ დონეზე ზეპარტიული უწყებათაშორისი ორგანოს/მექანიზმის ჩამოყალიბება, რომელიც, სამოქალაქო საზოგადოებასთან კოორდინირებით, უზრუნველყოფს მყისიერ წინმსწრებ კომუნიკაციას დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხებზე, მათ შორის არჩევნებში პოტენციური გარე ძალის ჩარევის შესახებ.

2020 წლის 12 მარტს, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტზე „დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე თემატური მოკვლევის ჯგუფის“ ხელმძღვანელმა, ნინო გოგუაძემ კომიტეტის წევრებს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის „დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე თემატური მოკვლევის ჯგუფის“ ანგარიში და შესაბამისი რეკომენდაციები წარუდგინა[18]. სხდომას კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ცოტნე ზურაბიანი უძღვებოდა.

---

16. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერება ქვეყანაში ანტიდასავლური დეზინფორმაციის და პროპაგანდის მიმართ - ანგარიში. ხელმისაწვდომია: https://parliament.leavingstone.club/storage/files/shares/tematuri-mokvleva/sagareo/dezinformacia/angarishi-27.01-2020-geo.pdf
17. აღსანიშნავია, რომ Facebook-ის რიგი რეგულაციების (მათ შორის, რეკლამის გამჭვირვალობა, მათი სპონსორების ვინაობის გასაჯაროება, სხვ.) საქართველოზე გავრცელების უზრუნველყოფა პარლამენტის ჩართულობის გარეშე, სამოქალაქო საზოგადოების ადვოკატირების შედეგად განხორციელდა. იხ. სამოქალაქო საზოგადოების Facebook-თან გაგზავნილი ღია წერილი - https://grass.org.ge/ka/treiningebi/qartuli-samoqalaqo-sazogadoebis-ghia-tserili-facebook-s. აღნიშნული წერილის პასუხად, Facebook-მა 2020 წელს აამუშავა რიგი ინსტრუმენტები, მათ შორის რეკლამის გამჭვირვალობა, მათი სპონსორების ვინაობის გასაჯაროება, და ფაქტების გადამოწმების პროგრამა. https://grass.org.ge/ka/inmedia/facebook-i-partniorebtan-ertad-saqartveloshi-phaqtebis-gadamotsmebis-programas-gaushvebs-1616
18. საქართველოს პარლამენტი, საგარეო ურთიერთობების კომიტეტის სხდომა, 12 მარტი, 2020. ხელმისაწვდომია - https://parliament.ge/media/news/sitting-of-foreign-relations-committee-2

საკომიტეტო მოსმენას ესწრებოდნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებიც[19], რომლებმაც კომიტეტს წინადადებით მიმართეს, ანგარიშის მიღების შემდეგ შემუშავებულიყო კონკრეტული სამოქმედო გეგმა დოკუმენტში არსებული რეკომენდაციების იმპლემენტაციის მიზნით, ასევე განსაზღვრულიყო ის ტექნიკური პროცედურები და ეტაპები, რაც კომიტეტის მიერ ანგარიშის მიღებას მოჰყვებოდა. აღნიშნული კი მათ შორის, საჯაროდ პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულიყო.

აღნიშნული შეთავაზება არ იქნა მიღებული. საკომიტეტო მოსმენის ამსახველ საჯარო ინფორმაციაში სამომავლო ნაბიჯების შესახებ ჩანაწერი არ გაკეთებულა. ამასთან, საკომიტეტო მოსმენისას აღინიშნა, რომ ანგარიშის შესრულებაზე ზედამხედველობის ფუნქცია ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს დაეკისრებოდა, თუმცა პროცესში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტიც იქნებოდა ჩართული.

1.2 თემატური მოკვლევის ანგარიშის შესრულების შეფასება

2020 წელს ევროინტეგრაციის კომიტეტისგან გამოთხოვილი ინფორმაციით (იხ. დანართი 1), ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი „კარგი მმართველობის ინიციატივის“ (GGI)-თან მოლაპარაკებებს მართავდა, რათა მოკვლევის ჯგუფის დასკვნის საფუძველზე სამოქმედო გეგმა შემუშავებულიყო, თითოეული აქტივობის მითითებით და შესრულების ვადებით[20]. აღნიშნულის პარალელურად, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან ჰქონდათ არაერთი მცდელობა, რათა ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულების მიზნით შექმნილიყო **სამუშაო ჯგუფი** დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და მათივე მოწოდებული ინფორმაციით დაგეგმილი პროცესი (სამოქმედო გეგმის შემუშავება) დაწყებულიყო.

თუმცა, **თავდაპირველად კოვიდპანდემიის, შემდეგ კი მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების საბაბით ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს აღებული ვალდებულების შესასრულებლად ნაბიჯები არ გადაუდგამს**. 2020 წლის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ანგარიშში[21], არ იძებნება ინფორმაცია კომიტეტის მიერ თემატური მოკვლევის ჯგუფის

---

19. შეხვედრას ესწრებოდა „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“ და მისი დირექტორი პაატა გაფრინდაშვილი.
20. 2020 წელს ევროინტეგრაციის კომიტეტისგან მიღებული წერილის თანახმად, კომიტეტი შემდეგ ამოცანებს ისახავდა მიზნად:

- საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელება სახელმწიფოს მიერ მტრულ პროპაგანდასა და დეზინფორმაციასთან ბრძოლის საკითხზე 2020 წლის არჩევნების კონტექსტში;
- სამოქალაქო სექტორის მიერ გამოვლენილი დეზინფორმაციის და მასთან დაკავშირებული გამოწვევების ანალიზის საფუძელზე, საზედამხედველო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, მაგალითად, თემატური მოკვლევის, სადეპუტატო შეკითხვის, მოსმენის და სხვა საშუალებებით.
- სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორების რესურსების გაერთიანება არჩევნების დაცვის საერთო ღირებულების გარშემო; საპარლამენტო ბერკეტების გამოყენება 2020 წლის არჩევნების გამჭვირვალობის გასაზრდელად;
- საფუძვლის შექმნა 2020-2024 პარლამენტის მიერ ამ პროცესის გასაღრმავებლად.

იხ. წერილი დანართში.
მიუხედავად აღნიშნულისა, კომიტეტს მსგავსი საქმიანობა არ განუხორციელებია.

21. საქართველოს პარლამენტი, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში. ხელმისაწვდომია - https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/evrointegracia/angarish-kom/evrointegracia-angarishi-2020.pdf

ანგარიშის შესრულების კუთხით საქმიანობის შესახებ. თემატური მოკვლევის ანგარიშისგან დამოუკიდებლად, ანგარიშში ორგან გვხდება ღონისძიება, რომელიც ახსენებს სიტყვა დეზინ-ფორმაციას:

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, ერთი მხრივ, სსიპ - ივანე ჯავა-ხიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მეორე მხრივ, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს, ასევე სსიპ – საქართველოს პარლამენტის კვლევით ცენტრს შორის. მემორანდუმი მათ შორის ითვალისწინებს თანამშორმლობის პროექტებსა და ანტიდასავლური პროპაგანდის თავიდან ასაცილებლად მუშაობის გაძლიერებას.
- ევროპის დღეების ფარგლებში, განხორციელდა ციფრული საინფორმაციო კამპანია „ასოცირების 6 წელი საქართველოსთვის". კამპანია მათ შორის მოიცავდა კვლევით საპროექტო კონკურს, რომელშიც ერთ-ერთ თემად განისაზღვრა „დეზინფორმაცია და ყალბი ამბები COVID-19 პანდემიის დროს".

2020 წლის ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისა და მე-10 მოწვევის პარლამენ-ტის შეკრების შემდეგ, დეზინფორმაციასა და პროპაგანდასთან დაკავშირებული საკითხები და მათ შორის თემატური მოკვლევის მიერ შემუშავებულ ანგარიშის ზედამხედველობის ფუნქციაც საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის კომპეტენ-ციაში გადავიდა. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნული ცვლილება განხორციელდა შემდეგი მიზეზით: „დეზინფორმაცია და პროპაგანდა მომდინარეობს როგორც შიდა ისე გარე აქტორებისგან, შესაბამისად, საკითხი ეხება ზოგა-დად ქვეყნის უსაფრთხოებას და არა საგარეო ურთიერთობებს".

„კოალიციამ ინფორმაციის სანდოობისთვის" აღნიშნული კვლევის ფარგლებში 2022 წლის ივლისში წერილობით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროე-ბის, საგარეო ურთიერთობათა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტებს (იხილეთ წერი-ლები დანართის სახით) და გამოითხოვა ინფორმაცია როგორც თემატური მოკვლევის ჯგუ-ფის მიერ მიღებული ანგარიშის განხორციელების, ასევე მოკვლევის მიღმა, ანტიდასვალურ დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ კომიტეტების მიერ გაწეული ან დაგეგმილი სამუშაოების შესახებ (იხილეთ მიღებული წერილები დანართის სახით). მოგვიანებით, 2023 წლის მაისში საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს, როგორც მაკოორდინირებელ კომიტეტს, დამატებითი წერილი გაეგზავნა დეზინფორმაციისა და პროპა-განდის საკითხზე კომიტეტის საქმიანობის შესახებ (გაგზავნილი და მიღებული წერილები იხ. დანართი 4-ში).

მე-10 მოწვევის პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის საქმიანობა დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის 2020[22], 2021[23] და 2022[24] წლის სამოქმედო გეგმებიდან ირკვევა, რომ კომიტეტი დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე არ მუშაობს. კომიტეტის მიერ 2022 წლის აგვისტოში მოწოდებულ პასუხში აღნიშნულია: „მე-10 მოწვევის პარლამენტის პერიოდში ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს, წერილში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით ზომები არ მიუღია“ (იხ. დანართი 5).

მე-10 მოწვევის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის საქმიანობა დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის 2022 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია, „თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან კოორდინაციით, ანტიდასავლური პროპაგანდისა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ საქმიანობის სფეროში, ხელისუფლების შესაბამის უწყებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ინსტიტუტებთან თანამშრომლობა“.[25] 2022 წლის აგვისტოში კომიტეტისგან მიღებულ წერილში, განხორციელებული საქმიანობის შესახებ აღნიშნულია (დანართი 2): „საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრები და აპარატის თანამშრომლები მუდმივად მართავენ შეხვედრას საერთაშორისო ორგანიზაციებთან, პარტნიორ ქვეყნებთან და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან და აცნობენ მათ საქართველოს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობას ქვეყნისთვის და დეზინფორმაციასა და პროპაგანდასთან დაკავშირებულ საკითხებს“.

კომიტეტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიშში აღნიშნულია ორი ღონისძიება, რომლის დროსაც, ანგარიშის თანახმად, კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ სამხარაძემ რუსეთიდან მომდინარე დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საფრთხეზე ისაუბრა: 2021 წლის 5 ნოემბრის სტუდენტურ პარლამენტთან შეხვედრა და 2021 წლის 27 მაისს, ბრიტანული ანალიტიკური ცენტრის გეოსტრატეგიის საბჭოს მიერ ორგანიზებული კონფერენცია. გარდა ამისა, ანგარიში ასახელებს 2021 წლის დეკემბერში, დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან ბრძოლის საკითხებზე საგარეო ურთიერთობათა და თავდაცვის და უშიშროების კომიტეტების სამუშაო შეხვედრას, სადაც „კომიტეტების წევრებმა მოისმინეს საქართველოს მთავრობის და შესა-

22. საქართველოს პარლამენტი, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2020, ხელმისაწვდომია - https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/evrointegracia/samoqm-gegma/2020-sam-gegm.pdf
23. საქართველოს პარლამენტი, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2021, ხელმისაწვდომია - https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/evrointegracia/samoqm-gegma/evrointegracia-samoq-gegma-2021.pd
24. საქართველოს პარლამენტი, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2021, ხელმისაწვდომია - https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/evrointegracia/samoqm-gegma/evrointegracia-samoqmedo-gegma-22.pdf
25. საქართველოს პარლამენტი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2020, ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/sagareo/samoqm-gegma/sagareo-samoqmedo-gegma-22.pdf

ბამისი სამინისტროების პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, მათი უწყებების მიერ 2020-2021 წლებში დეზინფორმაციის და პროპაგანდასთან ბრძოლის წინააღმდეგ განხორციელებული აქტივობების და გადადგმული ნაბიჯების შესახებ"[26]. აღნიშნულ შეხვედრაზე ყურადღებას ამახვილებს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტიც.

მე-10 მოწვევის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის საქმიანობა დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე

2020 წლიდან თემატური მოკვლევის მიერ შემუშავებული ანგარიშის შესრულებაზე პასუხისმგებელი საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტია. თუმცა, **არც კომიტეტის სამოქმედო გეგმებში და არც კომიტეტის მიერ მოწოდებულ პასუხებში არ ჩანს, რომ ანგარიში კომიტეტის სამუშაო დოკუმენტს წარმოადგენს**.

მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტს გაგზავნილ წერილში ვთხოვეთ, მოეწოდებინათ ინფორმაცია ანგარიშისა და მასში მოცემული რეკომენდაციების განხორციელების სამოქმედო გეგმა და შესრულების ანგარიში, მსგავსი დოკუმენტაცია არ გადმოგვცემია. მეტიც, **კომიტეტის მიერ გამოგზავნილ პასუხში არ არის ნახსენები პარლამენტის ანგარიში „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერება ქვეყანაში ანტიდასავლური დეზინფორმაციის და პროპაგანდის მიმართ".** 2022 საპასუხო წერილში კომიტეტი აღნიშნავს, რომ მისთვის დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის საკითხები პრიორიტეტულია: „საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე რუსული დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის უარყოფითი გავლენის გათვალისწინებით, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს აღნიშნულის საპასუხოდ შესაბამისი ქმედებების განხორციელება".

საჯაროდ ხელმისაწვდომი 2021[27] და 2022[28] წლების კომიტეტის სამოქმედო გეგმაში დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები ფიგურირებს. კონკრეტულად, 2021 წლის გეგმაში, კომიტეტის საზედამხედველო სფეროში შემავალი უწყებების საქმიანობაზე ზედამხედველობის გაძლიერებისა (2.2) და თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე საკომიტეტო მოსმენების გამართვის (2.2.1) ამოცანების ფარგლებში, დასახელებულია საქართველოს წინაშე არსებულ ჰიბრიდულ საფრთხეებზე (მათ შორის, დეზინფორმაცია და ანტიდასავლური პროპაგანდა) საკომიტეტო მოსმენის ჩატარება.

18	საქართველოს წინაშე არსებულ ჰიბრიდულ საფრთხეებზე (მათ შორის, დეზინფორმაცია და ანტიდასავლური პროპაგანდა) საკომიტეტო მოსმენა	ირაკლი ბერაია კომიტეტის წევრები	სოფიო ბაბუნაშვილი მანანა ბეგიაშვილი ბაკურ უტარაშვილი	შესაბამისი უწყებები	საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიების განმავლობაში	კომიტეტის დასკვნა/რეკომენდაცია

26. საქართველოს პარლამენტი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის საქმიანობის ანგარიში, 2021. ხელმისაწვდომია - https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/sagareo/angarishi/sagareo-angarishi-2021.pdf
27. საქართველოს პარლამენტი თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2021, ხელმისაწვდომია - https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/tavdacva/samoqm-gegma/tavdacva-samoq-gegma-%202021.pdf
28. საქართველოს პარლამენტი თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2022, ხელმისაწვდომია - https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/tavdacva/samoqm-gegma/tavdacva-samoqmedo-gegma-22.pdf

2021 წლის კომიტეტის საქმიანობის ანგარიშში ვკითხულობთ[29]:

- 2021 წლის 8 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ორგანიზებით გაიმართა დახურული შეხვედრა დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე, სადაც „ეგერია სოლუშენს"-მა წარმოადგინა კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით შემუშავებული ანგარიში „პარლამენტის როლი დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან ბრძოლაში - საქართველო, მოლდოვა, უკრაინა"[30], რომელშიც აღწერილი იყო ქვეყანაში ამ მიმართულებით არსებული ვითარება და მათი რეკომენდაციები. აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა შესაბამისი უწყება.

- 2021 წლის 27 დეკემბერს, თავდაცვისა და უშიშროების და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტებმა დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან ბრძოლის საკითხებზე, აღმასრულებელი ხელისუფლების სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახურების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს. კომიტეტების წევრებმა საქართველოს მთავრობის და შესაბამისი სამინისტროების პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მოისმინეს, მათი უწყებების მიერ 2020-2021 წლებში დეზინფორმაციის და პროპაგანდის წინააღმდეგ განხორციელებული აქტივობების, გადადგმული ნაბიჯების და სამომავლო გეგმების შესახებ. სამუშაო შეხვედრაზე პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების განხილვა მოხდა. ხაზი ასევე გაესვა დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან ბრძოლის კუთხით პარლამენტის საზედამხედველო როლის გაზრდის მნიშვნელობას და ამ მიმართულებით კოორდინაციის გაძლიერების აუცილებლობას.

- 2021 წლის 30 ნოემბერს, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრმა, **ეკა სეფაშვილმა**[31], ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ „საქართველოს ინტერნეტ მმართველობის მე-7 ფორუმში" მიიღო მონაწილეობა, სადაც რუსულ დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან ბრძოლის კუთხით საქართველოს პარლამენტის მიერ გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით გააკეთა მოხსენება.

2022 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, თემატური საკომიტეტო მოსმენების გამართვა, მათ შორის, დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის საკითხებზე დაიგეგმა.

	დეზინფორმაცია და ანტიდასავლური პროპაგანდა, საპასუხო ნაბიჯები	ეკა სეფაშვილი კომიტეტის წევრები	სოფია ბაბუნაშვილი ბაკურ უტარაშვილი	ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი შესაბამისი უწყებები	წლის განმავლობაში	სხდომის ოქმი

აღსანიშნავია, რომ კომიტეტმა წერილობით პასუხშიც (დანართი 3), განხორციელებულ საქმიანობაში აღნიშნა 2021 წლის 8 ნოემბრის შეხვედრა, სადაც „ეგერია სოლუშენს"-მა ანგარიში „პარლამენტის როლი დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან ბრძოლაში - საქარ-

29. საქართველოს პარლამენტი თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის საქმიანობის ანგარიში 2021, ხელმისაწვდომია - https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/tavdacva/kom-angarishi/tavdacva-angarishi-2021.pdf
30. Egeria Solutions, 2021, "The role of the parliament in the fight against disinformation and Propaganda – Georgia, Moldova Ukraine" - ხელმისაწვდომია: https://egeriasolutions.ge/wp-content/uploads/2022/08/Role-of-Parliaments-in-Fighting-Disinformation-Eng.pdf?fbclid=IwAR1V8TvYRrFqmghJHUJJN2N6BU9u6vjUQm60Jov-Icr04Ss4pwG8m_ANXZQ
31. 2022 წლის 4 ოქტომბერს, დეპუტატი ეკა სეფაშვილი „ქართული ოცნებიდან" „ხალხის ძალაში" გადავიდა. ის ე.წ. „აგენტების კანონის" ერთ-ერთი ინიციატორი იყო. ხელმისაწვდომია - https://netgazeti.ge/life/633725/

თველო, მოლდოვა, უკრაინა“ წარადგინა. თუმცა, გაურკვეველია აღნიშნული ანგარიშისა და მისი რეკომენდაციების მოსმენის შემდეგ რა ნაბიჯები დაიგეგმა და კომიტეტის საქმიანობის გაუმჯობესების კუთხით რა შედეგით დასრულდა შეხვედრა. განსაკუთრებით კი იმ ფონზე, როდესაც „ეგერია სოლუშენის“[32] ანგარიშში დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში განხილულია თემატური მოკვლევის ჯგუფის საქმიანობა და მისი ანგარიში და აღნიშნულია: „მიუხედავად იმ მნიშვნელოვანი თავდაპირველი ნაბიჯებისა, რომლებიც საქართველოს პარლამენტმა გადადგა დეზინფორმაციასა და პროპაგანდის წინააღმდეგ საბრძოლველად, მთლიანობაში, საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობა მოკლებულია თანამიმდევრულობასა და სისტემატურ მიდგომას. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტმა გასცა გარკვეული პოლიტიკის რეკომენდაციები აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ, ამას არ მოჰყოლია შესაბამისი ქმედებები **არც პარლამენტის რეკომენდაციების შესრულების და არც შემდგომი საზედამხედველო მექანიზმების გამოყენების კუთხით. მეტიც, პარლამენტმა ვერ შეასრულა საკუთარი რეკომენდაციები გრანტების, მაუწყებლობის, რეკლამისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონების გადახედვის შესახებ**“.

თავდაცვის კომიტეტს წერილში ვთხოვეთ, მოეწოდებინა ინფორმაცია 2021 წელს 27 დეკემბერს ჩატარებულ ღონისძიებაზე, კონკრეტულად კი: რა პრობლემების იდენტიფიცირება მოხდა და მათი გადაჭრის რა გზები იქნა დასახული, ასევე ვთხოვეთ ეცნობებინათ, გაიმართა თუ არა 2022 წლის გაზაფხულზე მორიგი შეხვედრა, რომელიც 27 დეკემბერს ჩატარებული ღონისძიების დროს დაიგეგმა[33].

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის 2022 წლის აგვისტოში მოწოდებული პასუხის თანახმად, 2021 წლის 27 დეკემბრის შეხვედრაზე მთავარ პრობლემად გამოვლინდა განსახილველ სფეროში ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩოს არარსებობა, ასევე შესაბამისი უწყებების კოორდინაციისა და ფინანსური რესურსების ნაკლებობა[34]. ასევე, კომიტეტის მოწოდებული ინფორმაციით, „საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ მომავალში მჭიდრო თანამშრომლობას გააგრძელებენ ამ მიმართულებით და კომიტეტს დეტალურ ინფორმაციას მიაწვდიან მათ სფეროში არსებულ მიღწევებსა და ხარვეზებზე, ასევე თავიანთ პოზიციებს დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესების თვალსაზრისით“. კომიტეტს არ გაუცია პასუხი, ჩატარდა თუ არა დაგეგმილი შეხვედრა 2022 წლის გაზაფხულზე.

კომიტეტის მოწოდებული პასუხის თანახმად, 2021 წლის 27 დეკემბრის სამუშაო შეხვედრის შემდეგ „თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა **შეიმუშავა ვრცელი კითხვარი, რომელიც გააგზავნა ყველა იმ უწყებაში**, რომელთა კომპეტენციასაც წარმოადგენს დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ საქმიანობა. 2022 წლის აგვისტოს მოწოდებული ინფორმაციით, კომიტეტი უწყებებიდან მიღებულ ინფორმაციას ამუშავებდა. კომიტეტი ასევე გეგმავდა „შესაბამისი კითხვარის გაგზავნას სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, მათთან ინდივიდუალური შეხვედრების გამართვასა და მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მათი შეფასებების გაცნობას“.

32. „ეგერია სოლუშენს“ არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც საპარლამენტო მანდატის დასრულების შემდეგ დააფუძნეს თამარ ჩუგოშვილმა, თამარ ხულორდავამ, ნინო გოგუაძემ და ირინა ფრუიძემ. ხელმისაწვდომია - https://egeriasolutions.ge/our-team/

33. საქართველოს პარლამენტი, საგარეო ურთიერთობათა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტებმა დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან ბრძოლის საკითხებზე სამუშაო შეხვედრა გამართეს, 2021. ხელმისაწვდომია - https://parliament.ge/media/news/sagareo-urtiertobata-da-tavdatsvis-da-ushishroebis-komitetebma-dezinformatsiastan-da-propagandastan-brdzolis-sakitkhebze-samushao-shekhvedra-gamartes

34. აღსანიშნავია, რომ თემატური მოკვლევის ანგარიშში 2019 წელს გამოიყო კოორდინაციისა და რესურსების ნაკლებობის პრობლემა.

დამატებით, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს 2023 წლის მაისში გაეგზავნა კითხვები დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე გაწეული საქმიანობის შესახებ, მათ შორის 2022 წელს მათ მიერ სახელმწიფო უწყებებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის დამუშავების შემდგომ გადადგმული ნაბიჯებისა და სამოქალაქო საზოგადოებასთან დაგეგმილი შეხვედრების შესახებ (იხ. დანართი 4).

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიერ 2023 წლის მაისში მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომიტეტის მიერ შემუშავებული კითხვარის პასუხად შესაბამისი უწყებებიდან და ორგანიზაციებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავების პროცესი არ დასრულებულა და ის **დასკვნით ფაზაშია**. ამავე წერილში კომიტეტი აღნიშნავს, რომ **ამ პროცესის დასრულების შემდეგ სამოქალაქო საზოგადოებასთან შეხვედრები გაიმართება**.

კითხვაზე, 2022 წლის საშემოდგომო სესიაზე გაიმართა თუ არა საკომიტეტო მოსმენა დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, კომიტეტმა არ გვიპასუხა. თავის მხრივ, არც 2022 წლის კომიტეტის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშშია საუბარი დეზინფორმაციის საკითხზე გამართულ საკომიტეტო მოსმენაზე.

კომიტეტის 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში მხოლოდ ორგანაა ნახსენები სიტყვა დეზინფორმაცია: 1) 2022 წლის 17 ივნისს, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის და იურიდიულ საკითხთა კომიტეტებმა ერთობლივ სხდომაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2021 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში განიხილეს და აღნიშნულია, რომ უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა „ჰიბრიდულ საფრთხეებზე“ საუბრისას ცალკეული ქვეყნებისა და მათი სპეციალური სამსახურების მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციული კამპანიები დაასახელა მნიშვნელოვან გამოწვევად, რომლის მთავარი სამიზნე კვლავ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის საკითხი იყო; 2) ინსტიტუციური გაძლიერების მიმართულებით ჩატარებულ ღონისძიებებში ანგარიში ახსენებს ევროკავშირის პროექტს - „უსაფრთხოების სექტორის ანგარიშვალდებულების გაძლიერება სამოქალაქო საზოგადოების ეფექტიანი ზედამხედველობით“, რომლის ფარგლებშიც კომიტეტის აპარატის თანამშრომლები დეზინფორმაციისა და პროპაგანდასთან ბრძოლის ესტონურ გამოცდილებას გაეცნენ[35].

კითხვაზე თუ რა ღონისძიებებს ატარებს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი „დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე თემატური მოკვლევის ჯგუფის“ საბოლოო ანგარიშის განხორციელებისთვის, მათ შორის, ანგარიშში გათვალისწინებული მთავრობის შესაბამისი უწყებებისადმი გაცემული რეკომენდაციების აღსრულების ზედამხედველობის კუთხით, კომიტეტის 2023 წლის მაისში მოწოდებულ პასუხში ნათქვამია: „მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია საკომიტეტო მოსმენა თემაზე - „საქართველოს წინაშე არსებული ჰიბრიდული საფრთხეები და საპასუხო ნაბიჯები“, რაც ასევე მოიცავს დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს“.

თავდაცვის კომიტეტის 2023 წლის სამოქმედო გეგმა ასევე განსაზღვრავს კომიტეტის მუშაობას შემდეგი მიმართულებით: „უსაფრთხოების სფეროში (მათ შორის, ჰიბრიდული საფრთხეების საპასუხოდ) არსებული კონცეპტუალური, საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს

35. საქართველოს პარლამენტი თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის საქმიანობის ანგარიში 2022, ხელმისაწვდომია - https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/tavdacva/kom-angarishi/tavdacva-angarishi-2022.pdf

შესწავლა/შეფასება და საჭიროების შემთხვევაში ინიციატივების/რეკომენდაციების შემუშავება“[36]. აღნიშნულის ფარგლებში უცნობია, გეგმავს თუ არა კომიტეტი დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის საკითხებზე მუშაობას.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა, რომელიც პასუხისმგებელია პარლამენტში დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ მუშაობაზე, მხარი დაუჭირა ე.წ. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონპროექტს

საქართველოს პარლამენტსა და შესაბამის კომიტეტებს რეკომენდაციების, რაც თემატური მოკვლევის ჯგუფის ანგარიშით იყო გათვალისწინებული და სახელმწიფო პოლიტიკის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად, არ შეუსრულებიათ. გარდა ამისა, რიგ შემთხვევებში, თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტმა მისი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იმ მინიმალური ნაბიჯების გადადგმაც ვერ შეძლო, რაც მაგალითად, გასულ წელს დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის საკითხებზე საკომიტეტო მოსმენის ჩატარებას გულისხმობდა.

უფრო მეტიც, საქართველოს პარლამენტმა და კონკრეტულად, დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის საკითხებზე ზედამხედველმა კომიტეტმა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტთან ერთად 2023 წლის 2 მარტს კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე მხარი დაუჭირა საპარლამენტო უმრავლესობის წევრების, „ხალხის ძალის“ წარმომადგენლების მიერ წარდგენილ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონპროექტს, რომელსაც მისი მიზნებიდან გამომდინარე სამოქალაქო საზოგადოება ე.წ. რუსულ კანონს უწოდებდა[37]. აღნიშნული კანონპროექტი როგორც ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების[38], ასევე საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების[39] მიერ შეფასებული იყო როგორც საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასთან შეუთავსებელი.

ამის მიუხედავად, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრებმა უმრავლესობიდან აღნიშნულ კანონპროექტს 7 მარტს საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით დაუჭირეს მხარი. შიდა საზოგადოებრივი პროტესტისა და საერთაშორისო კრიტიკის შემდეგ, „ქართული ოცნების“ უმრავლესობამ კანონპროექტი უკან გაიწვია[40].

---

36. საქართველოს პარლამენტი თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2023, ხელმისაწვდომია - https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/tavdacva/samoqm-gegma/samoqmedo-gegma-2023.pdf
37. საქართველოს პარლამენტი. საგარეო ურთიერთობათა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების ერთობლივი სხდომა 2 მარტი, 2023. ხელმისაწვდომია - https://parliament.ge/media/announcement/2043?local=true
Interpressnews.ge, პარლამენტის ორმა კომიტეტმა ე.წ. აგენტების შესახებ კანონპროექტებს მხარი დაუჭირა. 2 მარტი, 2023. ხელმისაწვდომია - https://www.interpressnews.ge/ka/article/747042-parlamentis-orma-komitetma-ec-agentebis-shesaxeb-kanonproektebs-mxari-dauchira/
38. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება, „რუსული კანონი არ არის საქართველოს არჩევანი“. ხელმისაწვდომია - https://grass.org.ge/ka/statement/russian-law-is-not-the-will-of-georgia
39. Civil.ge, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, USAID-ის გამოხმაურება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონპროექტზე“. 3 მარტი, 2023. ხელმისაწვდომია - https://civil.ge/archives/528627
Netgazeti.ge, ევროკავშირი შეშფოთებულია „უცხოური გავლენის აგენტების“ შესახებ კანონპროექტით. 21 თებერვალი, 2023. ხელმისავდომია - https://netgazeti.ge/opinion/656136/
40. რადიო თავისუფლება, პარლამენტმა “აგენტების” კანონპროექტი ჩააგდო. ხელმისაწვდომია - https://www.radiotavisupleba.ge/a/32311562.html

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა უგულებელყო Meta-ს ანგარიში, რომელიც მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტს საქართველოში საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებაში ამხელს

2023 წლის 3 მაისს, Meta-მ (Facebook-ისა და Instagram-ის მშობელმა კომპანიამ) კვარტალური ანგარიში გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, კომპანიამ საქართველოში არაავთენტური კოორ-დინირებული ქსელი გამოავლინა და წაშალა. როგორც ანგარიშში წერია, მიუხედავად იმისა, რომ ქსელის უკან მყოფი ადამიანები თავიანთი რეალური ვინაობის დაფარვას ცდილობდნენ, გამოძიებამ მიაგნო ამ ქსელთან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის კავშირს[41]. საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა, რომელიც პასუხისმგებელია პარლამენტში დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკის გაუმჯობესებასა და აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობაზე, რეაგირების გარეშე დატოვა Meta-ს გამოძიება. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა საქარ-თველოს პარლამენტს მოუწოდეს მის ხელთ არსებული საზედამხედველო მექანიზმები გა-მოეყენებინა ანგარიშში მითითებული დეზინფორმაციული სქემების შესასწავლად[42], საკა-ნონმდებლო ორგანოს და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს ამ მიმართულებით არც კონკრეტული ნაბიჯი გადაუდგამს და არც საჯარო განცხადება გაუკეთებია.

41. Meta, Quarterly Adversarial Threat Report. May, 2023. ხელმისაწვდომია - https://about.fb.com/wp-content/uploads/2023/05/Meta-Quarterly-Adversarial-Threat-Report-Q1-2023.pdf
42. „კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის“ განცხადება Meta-ს ანგარიშზე. 4 მაისი, 2023. ხელმისავდომია - https://formulanews.ge/News/89971

დასკვნა

საქართველოს პარლამენტმა ანტიდასავლური და პრორუსული მტრული დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე თემატური მოკვლევის დაწყებით 2019 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა დააპირა. თემატური მოკვლევის ჯგუფმა თავდაპირველად შეძლო ღია და ინკლუზიური პროცესი შეექმნა, რომლის ფარგლებშიც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა 2019 წლის გაზაფხულზე წერილობითი და ზეპირი ფორმით საკითხზე დასაბუთებული მოსაზრებები წარადგინეს.

ანგარიშის მომზადებისა და გასაჯაროვების შემდეგ, დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის საკითხებზე ზედამხედველი კომიტეტი რამდენჯერმე შეიცვალა, კერძოდ, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტიდან გადავიდა ჯერ ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტში, შემდეგ კი - თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში. არც ერთ შემთხვევაში საზოგადოებას არ მიწოდებია ინფორმაცია, თუ რა მიზეზით ხორციელდებოდა აღნიშნული ცვლილებები. მიუხედავად იმისა, რომ, ამჟამად, მასზე ზედამხედველობა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს აქვს, მათ მიერ მოწოდებული პასუხებით, გაურკვეველია, რჩება თუ არა თემატური მოკვლევის ანგარიში კომიტეტის დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის საკითხებზე საქმიანობის განმსაზღვრელ და სამუშაო დოკუმენტად. როგორც საჯაროდ ხელმისაწვდომი, ასევე ამ კვლევის ფარგლებში გამოთხოვილი ინფორმაცია ცხადყოფს, საქართველოს პარლამენტს დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკის გაუმჯობესების კუთხით რეალური ნაბიჯები არ გადაუდგამს.

საქართველოს პარლამენტსა და კონკრეტულად, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს არც 2022 წლის უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები, რაც საქართველოში გაზრდილი დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკისა და საზოგადოებრივი მედეგობის გაზრდის მიზნებს მოემსახურებოდა.

ცალკეული შეხვედრების ორგანიზების მიუხედავად, მთლიანობაში ბუნდოვანია, პარლამენტის თუ ცალკეული პასუხისმგებელი კომიტეტის საქმიანობა ანტიდასავლური დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის რა ხედვას ეფუძნება, რა ამოცანები აქვს დასახული და რა ნაბიჯების გადადგმას ითვალისწინებს, რაც სახელმწიფო პოლიტიკას მტრული ანტიდასავლური და პრორუსული დეზინფორმაციის წინააღმდეგ გააძლიერებს.

იმის გარდა, რომ საქართველოს პარლამენტსა და კონკრეტულად, დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის საკითხების ზედამხედველ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს პარლამენტის მოკვლევის ჯგუფის რეკომენდაციები არ შეუსრულებია და პროაქტიულად დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკის გასაძლიერებლად რეალური ნაბიჯები არ გადაუდგამს, კომიტეტმა რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე კონტრპროდუქტიული ნაბიჯებიც გადადგა. 2023 წელს კომიტეტმა მხარი დაუჭირა ე.წ. აგენტების შესახებ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონპროექტს. მოგვიანებით, 2023 წლის მაისში კომიტეტმა უგულებელყო Meta-ს ანგარიში, რომელიც მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტს სოციალურ ქსელში არაავთენტურ და კოორდინირებულ ქსელთან კავშირში ახდენს.

დანართი 1:

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტისგან მიღებული პასუხი 2020 წელი

დანართი 2:

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტთან 2022 წელს გაგზავნილი წერილი და მიღებული პასუხი

დანართი 3:

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან 2022 წელს გაგზავნილი წერილი და მიღებული პასუხი

დანართი 4:

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან 2023 წელს გაგზავნილი წერილი და მიღებული პასუხი

დანართი 5:

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან 2022 წელს გაგზავნილი წერილი და მიღებული პასუხი

კოალიცია
ინფორმაციის
სანდოობისთვის

GRASS
REFORMANDA

პარლამენტის როლი და საქმიანობა რუსული დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის საკითხებზე